

შპს ემ ცე ბაუქიმია


ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ციფრები მოცემულია ერთეულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

		31-Dec-22	31-Dec-21
ფული და ფულის ექვივალენტები	5	349,759	761,588
სავაჭრო მოთხოვნები	6	375,076	466,988
სასაქონლო მარაგები	7	859,090	844,583
ავანსები და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	8	42,506	83,542
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,626,430	2,156,701
მიწა		162,658	162,658
შენობა-ნაგებობები		344,592	356,648
მანქანა დანადგარები		109,354	129,803
სატრანსპორტო საშუალებები		130,700	-
არამეტერიალური აქტივები	10	-	111
სხვა გრძელვადიანი აქტივები		23,868	27,749
სულ გრძელვადიანი აქტივები		771,172	676,969
მთლიანი აქტივები		2,397,602	2,833,670
სავაჭრო ვალდებულებები	9	958,495	1,652,545
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		23,128	31,017
გადასახდელი პროცენტი		32,754	39,899
მოკლევადიანი სესხები		1,615,264	1,962,240
ანარიცხები		86,630	65,970
საგადასახდო ვალდებულებები		19,429	6,830
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3,708	3,116
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,739,409	3,761,617
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
კაპიტალი	11	63,080	63,080
გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზაალი		(404,887)	(991,027)
სულ საკუთარი კაპიტალი		(341,807)	(927,947)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2,397,602	2,833,670

0

გიორგი მდივანი
მთ. ბუღალტერი



შპს ემ ცე ბაუქიმია

ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ციფრები მოცემულია ერთეულ ლარში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

		2022	2021
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	12	2,377,092	3,187,328
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	13	(1,625,461)	(2,435,180)
საერთო მოგება		751,631	752,148
მიწოდების ხარჯები		(385,150)	(210,564)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(272,616)	(204,825)
საექვო ვალების ანარიცხები		62,533	(19,637)
მარაგების ანარიცხები		-	(63,626)
საოპერაციო მოგება/ზარალი		156,398	253,496
საპროცენტო ხარჯი		(32,049)	(39,790)
ნეტო მოგება/ზარალი ვალუტის კურსის ცვლილებიდან	16	460,612	426,741
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1,179	56,860
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		-	(3,087)
მოგება (ზარალი) გადასახადების გადახდამდე		586,140	694,220
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი) საქმიანობიდან		586,140	694,220
სხვა შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		586,140	694,220

გიორგი მდივანი
მთავრობის მდივანი


შპს ემ ცე ბაუქიმია

ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ციფრები მოცემულია ერთეულ ლარში

კაპიტალის მოძრაობის უწყისი

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (დაგროვილი ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
31-12-20	63,080.00	(1,685,247)	(1,622,167)
2021 წლის მოგება (ზარალი)		694,220.00	694,220
კაპიტალის შემცირება (-)			-
კაპიტალის გაზრდა (+)			-
31-12-21	63,080.00	(991,027.00)	(927,947)
2022 წლის მოგება (ზარალი)		586,140.00	586,140
კაპიტალის შემცირება (-)			-
კაპიტალის გაზრდა (+)			-
31-12-22	63,080.00	(404,887.00)	(341,807)

გიორგი მდივანი
მფ. ბუღალტერი



შპს ემ ცე ბაუქიმიკა ს/ნ 404495970
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 განმარტებითი შენიშვნები
 თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 5 ფული და ფულის ექვივალენტები (ლარი)

	შენიშვნა	31-12-22	31-12-21
ნაღდი ფული	5	-	-
ფული ბანკში	5	349,759	761,588
სულ ფული და ფულის ექვივალენტები		349,759	761,588
5 ფული და ფულის ექვივალენტები ვალუტების მიხედვით		31-12-22	31-12-21
ქართული ლარი (GEL)		121,253	27,897
აშშ დოლარი (USD)	§	107.00	§ -
ევრო (EUR)	€	79,121	€ 209,387.00

კომპანიის ფულადი სახსრები სრულად განთავსებულია მიმდინარე და შემნახველ ანგარიშებზე სს თიბისი ბანკში.
 შემნახველ ანგარიშზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი 2022 წლის განმავლობაში შეადგენს 705 ლარს.
 (2021 წელი : 2402 ლარი.)

შენიშვნა 6 სავაჭრო დებიტორული დავალიანება

	31-12-22	31-12-21
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	562,752	717,197
მინუს: საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები	(187,676)	(250,209)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	375,075	466,987
საეჭვო მოთხოვნების ანარიცხი		
2020 წლის 31 დეკემბერი		230,572
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში		19,637
2021 წლის 31 დეკემბერი		250,209
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში		(62,533)
2022 წლის 31 დეკემბერი		187,676

შენიშვნა 7 მარაგები

კომპანიის მარაგები მოიცავს როგორც საკუთარი წარმოების მზა პრიდუქციას (ბეტონის დანამატს) , ასევე იმპორტირებულ მასალებს. კომპანია მასალების იმპორტს ახორციელებს მხოლოდ ემ ცე ბაუქიმიკის ჯგუფის კომპანიებიდან და მოიცავს ჰიდროიზოლაციის, იატაკების მოსაწყობ, ბეტონის კოსმეტიკის და ბეტონის სარემონტო მასალების ფართო სპექტრს.

შენიშვნა 8 ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები

	31-12-22	31-12-21
გადახდილი ავანსები	37,192	80,022
საქონელი გზაში		
სხვა	5,314	3,520
სულ სხვა აქტივები	42,506	83,542

შენიშვნა 9 სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები ძირითადად შედგება ემ ცე ბაუქიმიკის ჯგუფში შემავალი კომპანიების მიმართ დავალიანებისგან, მესამე პირების მიმართ სავაჭრო ვალდებულებები უმნიშვნელოა

	31-12-22	31-12-21
MC Bauchemie Mueller GmbH, KG	957,184	1,652,349

შპს ემ ცე ბაუქიმია ს/ნ 404495970

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 10 არამატერიალური აქტივები

2022 წელი	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	1,665	1,665
დამატებები		-
ისტორიული ღირებულება ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	1,665	1,665
აკუმულირებული ცვეთა		
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	-1,554	(1,554)
პერიოდის ცვეთა (2022)	(111)	(111)
აკუმულირებული ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	(1,665)	(1,665)
	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	111	111
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	0	0

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სრულად გაცვეთილი არამატერიალური აქტივის პირვანდელი ღირებულებაა 1665 ლარი (2021 წელი: 1665 ლარი). აღნიშნულ არამატერიალურ აქტივებს კომპანია კვლავ იყენებს საოპერაციო საქმიანობაში.

შენიშვნა 11 საწესდებო კაპიტალი

შპს ემ ცე ბაუქიმის საწესდებო კაპიტალი წესდებით განსაზღვრულია 25 000 ევროთი, რომელიც სრულად შევსებულია ფულადი სახით დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალის გადაფასება არ ხდება. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი შეადგენს 63 080 ლარს

კომპანიას 2022 წელს დივიდენდი არ გაუცია

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირება, რათა შეწილებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს შეწილებებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად,

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში. კომპანია არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

შენიშვნა 12 სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი

კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს საქართველოში, ასევე ყიდის ექსპორტზე სომხეთში. კომპანიას არ აქვს საცალო გაყიდვები

კომპანიის ძირითადი შემოსავალი არის ბეტონის დანამატით, ბეტონის სარემონტო და ჰიდროსაიზოლაციო მასალების გაყიდვით მიღებული შემოსავალი

სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	2022 წელი	2021 წელი
იურიდიული პირებისგან მიღებული შემოსავლები	2,377,092	3,187,328
ფიზიკური პირებისგან მიღებული შემოსავლები		
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	2,377,092	3,187,328

შენიშვნა 13 გაყიდული საქონლის თვითღირებულება

გაყიდული საქონლის თვითღირებულება მოიცავს რეალიზებული მასალების თვითღირებულებას. გაყიდული საქონლის თვითღირებულება 2022 წლის განმავლობაში იყო 1 625 461 ლარი, (2021 წელი 2 435 180 ლარი).

შენიშვნა 16 კურსთაშორის სხვაობით მიღებული (მოგება) / ზარალი

2022 წელს ვალუტის კურსთაშორის სხვაობით მიღებულმა მოგებამ შეადგინა 460 612 ლარი. 2021 წელსაც ასევე კომპანიამ მიიღო 426 741 ლარის მოგება კურსთაშორისი სხვაობით, რაც გამოწვეული იყო 2022 წელს ლარის კურსის მნიშვნელოვანი გამყარებით ევროს მიმართ.

შენიშვნა 17 პირობითი ვალდებულებები, ანარიცხები და საოპერაციო რისკები

შპს ემ ცე ბაუქიმა ს/ნ 404495970

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

თანხები მოცემულია ლარში

17.1 სასამართლო დავები

ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის კომპანია არ არის ჩართული სასამართლო დავებში.

17.2 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. შესაბამისმა საგადასახადო ორგანოებმა შესაძლოა დაიწუნონ ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის და საკმინაობისთვის განხორციელებული ტრანზაქციების ინტერპრეტაცია. საგადასახადო ორგანოები ხშირად იკავებენ უფრო მტკიცებით პოზიციას კანონმდებლობის და შეფასებების ინტერპრეტირებისას. შედეგად, შესაძლებელია დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და პროცენტების დაწესება.

შენიშვნა 18 ფინანსური რისკების მართვა

18.1 საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის საოპერაციო შემოსავალი და ფულადი ნაკადები არ არიან დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე, რადგან კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივები და ვალდებულებები.

18.2 სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს ვალდებულებების და აქტივების ერთიდაიგივე ვალუტაში განთავსებას.

შენიშვნა 19 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

19.2 სავალუტო რისკი (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრისათვის

	ლარი	დოლარი გამოსახული ლარში	წარმოდგენილი		სულ
			ევრო	რუბლი	
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	121,253		228,506		349,759
საეაჭრო დებიტორული დავალიანება	293,217		81,859		375,076
სხვა აქტივები (მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ)					-
სულ ფინანსური აქტივები	414,470	-	310,365	-	724,835
ფინანსური ვალდებულებები					
საეაჭრო კრედიტორული დავალიანება	1,348		957,184		958,532
საიჯარო ვალდებულება					-
სხვა ვალდებულებები (მიღებული ავანსების გარდა)					-
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,348	-	957,184	-	958,532
სავალუტო პოზიცია	413,122	-	(646,819)	-	(233,697)

2021 წლის 31 დეკემბრისათვის

	ლარი	დოლარი	წარმოდგენილი		სულ
			ევრო	რუბლი	
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	27,897	-	733,691		761,588
საეაჭრო დებიტორული დავალიანება	408,440		58,548		466,988
სხვა აქტივები (მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ)	-	-	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	436,337	-	792,239	-	1,228,576
ფინანსური ვალდებულებები					
საეაჭრო კრედიტორული დავალიანება	-		1,652,545		1,652,545
საიჯარო ვალდებულება					-
სხვა ვალდებულებები (მიღებული ავანსების გარდა)					-
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	1,652,545	-	1,652,545
სავალუტო პოზიცია	436,337	-	(860,305)	-	(423,969)

18.4 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა) და მისაღები დებიტორული დავალიანებიდან. ანგარიშგების დღისათვის კომპანიას არ აქვს სხვა ფინანსური აქტივები, ამიტომ მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის საანგარიშგებო თარიღისათვის იყო:

	31-12-22	31-12-21
ფული და ფულის ეკვივალენტები (ფული ბანკში)	349,759	761,588
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	375,076	466,988
სულ საკრედიტო რისკი	724,835	1,228,576

კომპანიის ფული განთავსებულია მაღალი სანდოობის მქონე ფინანსურ ინსტიტუტში, კერძოდ სს თიბისი ბანკში, რაც მენეჯმენტს აძლევს გარანტიას რომ არ არსებობს საკრედიტო რისკი დაკავშირებული ფულსა და ფულის ეკვივალენტების ნაშთებთან.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის მენეჯმენტი ქმნის გაუფასურების ანარიცხს მაშინ, როდესაც არსებობს ეჭვი, რომ კომპანია ვერ შეძლებს მოთხოვნის ამოღებას. გარდა ამისა, საჭიროების რეალიზაცია ძირითადად ხდება ანგარიშწორების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი ოდენობის დებიტორული დავალიანება და, შესაბამისად, საკრედიტო რისკი მინიმუმამდეა დაყვანილი.

შენიშვნა 19 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები**19.1 რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები**

რეალური ღირებულების გამოთვლის მიზანია განისაზღვროს ის ღირებულება, რაც შეფასების თარიღისათვის შეიძლება მიღებული იქნას აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნას ვალდებულების დასაფარად ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის. მიუხედავად ამ მცდელობისა, რომ რეალურმა ღირებულებამ ასახოს ასეთი თანხა (რაც წინა წინადადებაშია ახსნილი), საოპერაციო გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი განუსაზღვრელობების და შეფასებებში შესაძლო სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამო, არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეალური ღირებულება ზუსტად ასახავს იმ თანხას რაც შეიძლება აქტივის დაუყოვნებელი გაყიდვის შემთხვევაში იქნას მიღებული ან ვალდებულების დაუყოვნებელი დაფარვისთვის შეიძლება იყოს საჭირო.

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული რეალური ღირებულება დაახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება გამოითვლება ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდით, რომელიც ეფუძნება მომავალ ფულად ნაკადებს და მსგავსი ინსტრუმენტების დისკონტირების კოეფიციენტს საანგარიშო თარიღისათვის. კომპანია იყენებს შეფასების ფართოდ აღიარებულ მოდელს ჩვეულებრივი და უფრო მარტივი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსაზღვრად, რომლებიც იყენებენ მხოლოდ თვალსაჩინო საბაზრო მონაცემებს და ხელმძღვანელობის მხრიდან მცირედი დაშვებებისა და შეფასებების გამოყენება სჭირდებათ.

19.2 რეალური ღირებულების იერარქია

კომპანია იყენებს შემდეგ იერარქიას რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის:

ღონე 1 ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტების კოტირებული (არაკოტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე.

ღონე 2 შემაჯავლი მონაცემები გარდა იმისა, რაც პირველ ღონეშია ჩაწერილი და რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია შემდეგი მონაცემების გამოყენებით: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რაც განიხილება, როგორც ნაკლებად აქტიური; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი შემაჯავლი მონაცემები ხელმისაწვდომია პირდაპირ ან ირიბად საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე.

ღონე 3 არათვალსაჩინო რესურსები. აღნიშნული კატეგორია შედგება ყველა ინსტრუმენტისგან, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება თვალსაჩინო მონაცემებს და ხელმისაწვდომი შემაჯავლი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებები საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

შენიშვნა 20 დაკავშირებული მხარეები

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

შპს ემ ცე ბაუქიმია ს/ნ 404495970
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 განმარტებითი შენიშვნები
 თანხები მოცემულია ლარში

მეწილეები		
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები		
სხვა დაკავშირებული მხარეები	MC Bauchemie AG (Switzerland)	1,615,264

სულ		1,615,264
-----	--	-----------

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2022 წელი	გადახდილი დივიდენდი	საპროცენტო ხარჯი	ხელფასის ხარჯი
--	------------------------	---------------------	-------------------

მეწილეები			
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები			
სხვა დაკავშირებული მხარეები	MC Bauchemie AG (Switzerland)	33,654	

სულ	-	33,654	-
-----	---	--------	---

შენიშვნა 21 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2021 სესხი

მეწილეები		
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები		
სხვა დაკავშირებული მხარეები	MC Bauchemie AG (Switzerland)	1,962,240

სულ		1,962,240
-----	--	-----------

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2021 წელი	გადახდილი დივიდენდი	საპროცენტო ხარჯი	ხელფასის ხარჯი
--	------------------------	---------------------	-------------------

მეწილეები			
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები			
სხვა დაკავშირებული მხარეები	MC Bauchemie AG (Switzerland)	39,790	

სულ	-	39,790	-
-----	---	--------	---

შენიშვნა 21 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

შენიშვნა 22 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

გ.მდივანი
 მთ.ბუღალტერი